№ 838 ხუთშაბათი, 10 ივნისი. 1896—1899 ხუთშაბათი, 10 ივნისი. № 838

სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო კარვასლა
ჟელის-მომწერნი გაზეთის დასაკვებ
თად მიმართავენ რედაქციის დილი-
10 ვ საათამდე დ. საღამოს 6—7
დან „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქ-
ტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირვე
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 .

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 339

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 3 მან. 50 კაპ.

!!მიაქციეთ ყურადღება!!
ჩინეთის მაღაზია
დ. ფ. დემენტიევისა
გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის სახლი სობრანიეს გვერდზე.
იშოვეთ ჩაი პირველი მოკრებისა 1898 წლისა
მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი
ჩაი და ყავა იყიდება წვრილად და პარტიოზით
ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანათზე აბაზი და საჩუქრად მი-
იღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საქირო და საოჯახო ნივთს.

ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას
საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი
იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია
საჩუქრებისა და ნიშნობებისათვის
მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, კიევში, ოდესაში, ... , ნოვოჩერკასკ-
ში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფი-
ლისში

!!მიაქციეთ ყურადღება!!
(100—36)

სამკურნალო და სასარგებლო დასალევი

ქეფირი და კუმისი

ერთად ერთი ქარხანა, რომელიც არსებ-
ობს 1887 წ.
მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილ-
დოვებული ორს გამოფენაზე.
იყიდება მხოლოდ ო. კორონასთან ლორის-მელიქოვის ქუ-
ჩაზე ზუბალოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო საზოგა-
დეობის წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.
(100—29)
ო. კორონა.

დაიბეჭდა და გაიყიდება
ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცე-
ლებლის საზოგადოების წიგნის
მაღაზიაში.
თხზულებანი
ა. ს. პუშკინისა
ავტორის პორტრეტით და ბიოგ-
რაფიით
ფასი 50 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება
ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებ-
სა და ეკკლესიებშიაც
ცხოვრება წმ. ქალწულ მოწამის
მარინესი
მეორედ გამოცემული მორჩილის
რაჟდენ ბარამაძისა.
ფასი ერთი შაური. (10—5)

ექიმი
კ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დი-
ლის 11—12-მდე და საღამოს 7—
8 საათ.
მიხეილის ქუჩა, № 16.
Докторъ К. М. Чиковани
Михайлов., № 16.

გაზეთ „კავკასის" კანტორაში
ისყიდება
რუსული ახალი წიგნი
ნორ-ქალაქ
(ბინოკლისა)
წერილები უნებურად ორ-ცოლიანი-
სა და საზოგადოდ გაუფრთხილებე-
ლის კაცისა.
ფასი 1 მან., გაგზავნით
ფოსტით 1 მ. 25 კაპ. წიგნე-
ბის გამყიდველებს დაეთმო-
ბათ 25%.
ამ გამოცემის წმინდა შემოსავა-
ლი დანიშნულია გადმოსახლებულ-
თა სასადილოსათვის ტფილისში.
(20—17)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავად-
მყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფ-
ნი შინაგანისა, ნერვების, საქირურ-
გო, თვალისა და დედათა ავადმყო-
ფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ
მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11
საათიდგან ნაშუადღევის 3 საა-
თამდე. შინაგან და ნერვების ავად-
მყოფობას სწამლობს ს. ბ. თო-
ფურია. საქირურგო თვალების
ავადმყოფობას და სიფილისს ფ.
ა. ზერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი
ქალი მ. თ. ძოწაძე.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი,
საექიმო და საბაქტერიოლოგიო
გამოკვლევისათვის, ელექტრონით
წამლობისათვისა და მასაჟის თვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თო-
ფურია
Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаис'ѣ.

## ახალი ამბავი

*** თავ. გიორგი ჩიჩუას სასიკვდილოდ დაჭრა. გუშინ-წინ ტფილისში ხმა გავრცელდა, რომ ქუთაისში სასიკვდილოდ დაუჭრიათ თავ. გიორგი ჩიჩუაო. ჩვენ ეს ამბავი არ გვჯეროდა, მაგრამ გუშინდელ „ნოვ. ობ." და „ტფილ. ფურც." სწერია, რომ კალისტრატე ჩიკვაიძის არჩევის შემდეგ საღამოზე სასტუმრო „ფრანციაში" აზნაურს ნესტორ მგელაძეს (ზოგნი ამბობენ დვალსო) და თ. გიორგი ჩიჩუას რაღაც ლაპარაკი მოსვლიათ არჩევნების გამო და საქმე ისე გამწვავებულა, რომ მოპირდაპირეს სასიკვდილოდ დაუჭრია ჩიჩუა.

თავ. გიორგი ჩიჩუა საკმაოდ ცნობილი იყო ქართველობაში, როგორც იმერეთში ისე ქართლ-კახეთში. დაწვრილებითი ამბავს მიღებისთანავე შევატყობინებთ მკითხველებს.

*** ისევ თავ. გიორგი ჩიჩუას დაჭრაზე. მიზეზი თავ. გიორგი ჩიჩუას დაჭრისა, როგორც გვიამბეს შემდეგი ყოფილა: კრებაზე თურმე ნესტორ მგელაძე ჩიჩუას სიტყვებზე ხმა-მაღლა ამბობდა—რაზევრს ფართი ფურთობს დავ. ჩიჩუა, წყნარად იყოს თორემ გავლახავო. კრების გათავების შემდეგ ეს ამბავი უთქვამთ თავ. გიორგისათვის, რომელსაც ძრიელ სწყენია მგელაძის ასეთი მოურიდებელი სიტყვები და როცა შეხვედრია იგი, გიორგის საყვედურით უთქვამს, როგორ გაბედე და სხვებთან ილაპარაკე ჩემი გალახვაო; მგელაძე შემკრთალა და უთქვამს: მე არსად და არავისთვის მითქვამს შენი გალახვაო. ამაზე აპ[...]ოლიან თავ. ჩიჩუას როგორც ზ[...]ნი ამბობენ სილა შემოურტყამს, და მერე მგელაძეს დაუჭრია სასიკვდილოდ; ხოლო ზოგნი ამბობენ, რომ ორთავენი წაჩხუბულან და ჩიჩუა წაჩხუბის დროს არის დაჭრილი მუცელში და მგელაძე თავსა და სახეში. თავ. გიორგი მაშინათვე თოფურიას საავადმყოფოში წაუყვანიათ და იქ შეუკერავ

მუცელი და ნაწლავებიო. ცოცხალია ჯერ თუ არა არ ვიცით.

** **კურს-დამთავრებულთა საყურადღებოდ.** ვინც წელს სწავლა დაამთავრა საშუალო სასწავლებლებში და აზრად აქვთ უმაღლეს სასწავლებლებში შევიდნენ, ყველა საჭირო მოწმობებთან ერთად უნდა წარადგინონ სამხედრო ბეგარის მოწმობაც. ამისათვის ისინი მიმართავენ სამხედრო ბეგარათა უფროსებს და სთხოვენ რომ მათ მოწმობაზე აღნიშნონ თუ როდის უწევთ მათ ვადა ჯარში გასვლისა. ვინც არ აღანიშნინებს სამხედრო ბეგარის უფროსებს ზემოღხსენებულ ცნობებს, ისინი არც მიღებულ იქმნებიან სასწავლებლებში და ზედ მეტი ჯარში უკენქოდ ჩარიცხამენ.

** **უნივერსიტეტების რექტორთა კრება.** როგორც გაზეთები იუწყებიან 8 ივნისიდან დაიწყო პეტერბურგში ბჭობა ყველა უნივერსიტეტების რექტორებისა, კრებას თვითონ სახალხო განათლების მინისტრი თავმჯდომარეობს.

** **ბუფეტის იჯარით გაცემა რიონზე.** რკინის გზის მმართველობა აცხადებს, რომ ამ თვის თოთხმეტამდე რკინის გზის მმართველობაში მიიღება თხოვნა იჯარით აღებაზე სადგურ რიონის ბუფეტისა. მსურველთ პირობის შეტყობა შეუძლიანთ რკინის გზის მმართველობაში.

** **სენკევიჩის ავადმყოფობა.** გამოჩენილი პოლონეთის მწერალი გენრიხ სენკევიჩი, როგორც სატახტო გაზეთები იუწყებიან, თურმე მძიმედ ავად არის. სენკევიჩი საქვეყნოდ ცნობილია და მწერალი და მისი საუკეთესო რომანი „ცეცხლითა და მახვილითა“ ქართულადაც არის ნათარგმნი.

** **ქ. ნ. გროზდოვის გამგზავრება.** საერო დირექტორი ქრისტეფორე გროზდოვი აქედან ვარშავის გუბერნიაში გადავიდა და გუშინ გაემგზავრა კიდეც თავის ახალს ადგილზე.

** **ქართველი ქალები პეტერბურღის სამედიცინო ინსტიტუტში.** ... ქამად პეტერბურღის სამედიცინო ინსტიტუტში ორი ქართველი ქალია: იოსელიანისა და ზაალიშვილისა,

** **სამეურნეო სკოლა ოძისში.** როგორც რუსული გაზეთები იუწყებიან, უმაღლეს მთავრობას გადაუწყვეტია, რომ დამდეგის წლიდან ოძისში, რომელიც თავ. ზაქარია ერისთავმა აჩუქა ხაზინას, გამართულ იქმნას სამეურნეო სკოლაო.

** **სასტერესო წიგნი.** ნ. ი. მარრმა, რომელიც ეხლა ტფილისშია და ჰმუშაობს საქართველოს საექსარხოსოს სიძველეთ-საცავში, გადმოგვცა საყურადღებო ცნობაო ე. ლემმს, საიმპერატორო აკადემიის აზიურ განყოფილების მუზეის ზედამხედველს, აღმოუჩენია კოპტურს ენაზედ წიგნი, რომელიც არის ისტორია ქართველთა მოქცევისა. კოპტური ტექსტი ნემეცურის თარგმანით იბეჭდება აკადემიის უწყებებში. ქართველთა განმანათლებელს ქალს კოპტურს წყაროში რქმევია თეოგნოსტი. მარრი ჰბეჭდავს მას ქართულადაც

** **კურს დამთავრებულები პირველ გიმნაზიაში.** წელს პირველ გიმნაზიაში სწავლა დაამთავრეს 67 ყმაყვილმა კაცმა მათ შორის ქართველები 12 კაცია, აი მათი სახელი და გვარებიც: ვასილ კარგარეთელი, გრიგოლ შეედლოვი, გეიდარ ფალავანდოვი, გრიგოლ სულიევი, ნიკოლოზ თავდგირიძე, ნიკოლოზ ჩიგიანი, მიხეილ კილოსანიძე, ივანე მაღალოვი, ალექსან. მაჩაბლიშვილი, ალექ. სავანელი, აბრამ თავშავაძე, ზაქარია ციციშვილი.

** **კურს დამთავრებულები მეორე გიმნაზიაში.** მეორე გიმნაზიაში წელს სწავლა დაუმთავრებია 42 კაცს მათ შორის ქართველები 8 კაცია, თავ. გიორგი ვაჩნაძე, თავ. ალექსი ანდრონიკაშვილი, თავ. ლევან წერეთელი, ევგენი მელვინეთხუცესოვი, იასონ ბერიშვილი და არონ ძაღაევი.

** **მელი გზატკეცილი ქ. ტფილისსა და ქუთაის შუა.** ხსენებული გზა მეტად საჭირო და სასარგებლო იყო როგორც სხვა და სხვა სოფლებისათვის. რაკი რკინის გზა გაკეთდა ჩვენს ქვეყანაში, ამ გზატკეცილს ყურადღების მიქცევა შემოაკლდა, მაგრამ ხანდისხან მაინც შეაკეთებდნენ და ხალხს თამამად შეეძლო მგზავრობა. 1895 წ. დიდის წვიმიანობის დროს ისე წაახდინა ეს გზა ღვარის წყალმა და მდ. ჩხერემელამ, რომ არას გზით არ შეუძლიან არც კაცს და არც ოთხფეხ ცხოველს სიარული, მეტადრე დ. ზესტაფონსა და ს. ბეჟათუმანს შუა 44 ვერსის მანძილზე, რომელსაც გარდა გარეშე ადგილებიდან მგზავრებისა 15-ოდე სოფლები: ბეჟათუბანი, მოლითი, ზედუბანი, ლედვანი, მარელისი, სალაძლე, ზარანი, ჩხერი, ხარაგაული, ბაზალეთი და სხვანი ვერ აცდებიან ამ გზას. ისეთი მოსახლე კაცი არ მოიპოვება ხსენებულ სოფლებში, რომ ყოველი წლიური ჭირნახული ორ-ორი ვერსის სიშორეზე ზურგით არ ჰქონდეს საზიდავი. 5—6 ვერსიდანაც კი ზიდავენ საურმე გზის უქონლობის მიზეზით ზურგით, ფეხით სავალი გზაც რომ არა აქვთ იმისათვის დადიან რკინის გზის ლიანდაგზე, სადაც მრავალი უბედურება ხდება, მრავალჯერ მომხდარა, რომ მატარებელს გაუსრესია ხალხი და ოთხფეხი ცხოველები ხომ ურიცხვია. სოფლები რომ უზომო ტანჯვა-წვალებაში არიან და იღუპებიან ეს ყველამ იცის, ამისათვის ფრიად სასურველია მიაქცევდნენ ყურადღებას ვისიც ჯერ არს, ამ საჭირბოროტო საქმეს და დაიხსნან მთელი მხარე მუდმივი გაჭირვებისაგან.

ლ. გუბელი

** **ს. წნისი** (ახალციხის მაზ.). **მაჰმადიანები და ქართველი გლეხები.** სოფ. წნისში სცხოვრებს 40 კომლი ქართველ მუსულმან მესხები, ამ რამდენიმე წლის წინეთ, ამ სოფლიდამ 7 კომლი ქართველ მაჰმადიანები ოსმალეთში გადასახლდნენ, ამათი მამულები შეისყიდეს ბორჯომის ხეობაზე მცხოვრებთ ქართველთ ქრისტიან გლეხებმა, ესენი მალე მოვიდნენ და ნაყიდ ადგილ-მამულებზე დასახლდნენ.

ოსმალეთში წასულ ქართველ მუსულმანებს ბედმა უმტყუნა, მათ იქაური ადგილები არ მოეწონათ, გარდა ამისა, ოსმალთ მათ ჩვეულებრივ „გურჯი“ უწოდეს, ამათ კი ეს ერთობ ეუცხოვათ. ბევრს უთხრეს, რომ ჩვენ გურჯელები კი არა, მუსულმანები ვართო, მაგრამ ამით მათ არა ეშველათ-რა, ყველა გურჯს უძახდა. საქმე ბედშავათ მოეგვარათ, განიძრახეს საქართველოში დაბრუნება, მალე 2—3 კაცი გამოგზავნეს ს. წნისს და თავიანთ ნათესავებს და მეზობლებს დაავალეს თავიანთ მამულების უკან დაბრუნება მყიდველთაგან.

ეს ამბავი ქართველ გლეხებს მალე ეუწყათ, მათ უარი განაცხადეს. ჩვენ ვერ ავიყრებით აქედგან თუ უკან დაბრუნდებოდნენ მაშინ რათ მირბოდნენ ოსმალეთში, ან რათ ჰყიდდენ მამულებსო. ამაზე უსიამოვნება მოუხდათ. მუსულმანებმა მათ დევნა დაუწყეს. დღესაც კიდევ სასტიკად სდევნიან. ეს 7 კომლი ქართველ ქრისტიან გლეხნი ისე არიან მომწყვდეულნი 40 კომლ მუსულმანებში, როგორც ზღვის საშუალს ობოლი ნაფოტი. საქმე ისე გამწვავებულა, რომ მუსულმანთა ბავშვები ქრისტიან გლეხებს, საჭმლის მოხარშვის დროს, ბუხრიდან ნაგავს უყრიან. ერთი სიტყვით ისე მწარეთ სდევნიან, რომ ამ საწყლებმა აღარ იციან რა ქნან და საით წავიდნენ.

მე ჩამოვ[ა]ტ[ვ]ი ამ სოფელში, ვნახე ეს ხალხი და ... მოგახსენოთ, რომ გული ცეცხლით ამევსო ამათი უბედური მდგომარეობის შესახებ აქ ვრცლად ვერ განავრცობ, შემდეგ მოგახსენებთ უფრო საფუძვლიანათ. ვიტყვი კიდევ, რომ ესენი დიდს დევნაში არიან, წარმოიდგინეთ რომ პატარა ბავშვებიც კი დაუბრიყვებიათ. თითქმის ყველა მწარედ დევნას არს მიცემული, მათი შველის ცნობა არსაიდან სჩანს, თუმცა ახალციხის ბლაღოჩინი დიმიტრი ხახუტაშვილი ბევრს სცდილობს მათ დასახმარათ.

ვნახოთ, შემდეგ როგორ დატრიალდება ამ გლეხთა საქმე.

ზ. ჭ.

** **ს. მარტვილი.** აბრეშუმის შესახებ. წრევანდელი წელიწადი შესახებ აბრეშუმისა არ დაგვიდგა სასურველი, პირ იქით დიდი ზარალი მოგვიტანა. არ დარჩენილა ისეთი ოჯახი, რომელსაც, მიუხედავად მისსა ჰქონდა მას საკმაოდ გამოსაკვები ფურცელი თუ არა არ დაეჭდინოს აბრეშუმის ჰფიქრობდა, რამდენის ფურცელი არ ეყიდნა, მაინც მოგებ[ა] დარჩენოდა; არიან ისეთნი, რომელთაც ფურცლის საყიდვე[ლ] ფულში გაყიდეს ხარი, ძროხა და სხ., მაგრამ მათ მოგების ნაცვლა[დ] გაყიდულ საქონლის ნახევარ ფა[სი]ც ვერ აიღეს, ასეთ სიმძიმ[ე] ფურცლისას ჯერ არავინ მოსწრე[ბი]ა, მხოლოდ საყიდლად ეშო[ვ]ნათ და ფული კი არავის ენაღვლებოდა, მაგრამ რა ქნა მათ[მა] შრომამ და ტანჯვამ? სულ არაფე[]რი. არა მოგება, არამედ ზარალ[ი] დიდი. წელს როგორც ლაპარ[ა]კობენ შარშანდელზედ ნახევარ[ი] პოსავალიც არ ყოფილა. ჩემის [აზრით] საზოგადოს ჰაზრით ეს უნდა მ[ი]წეროს უვარგისობას ყაჭის თე[ს]ლისას. აქაური ჩარჩები მიდი[ან] და თავიანთ მოგებისათვის ასაღ[ე]ბენ უვარგის ყაჭის თესლს, რომელიც არ არის არავისგან შემო[წ]მებული. ამ ნაირ ზარალს ზ[ედ] დაუმატოთ სიიაფე აბრეშუმი[სა]. ჩვენს სოფელში პარკის მყიდვე[ლ]ი გამოჩნდა მხოლოდ ერთი ჯ[ი]სქელი სომეხი, რომელმაც გაიხ[ედ]-გამოიხედა, ვერავინ ნახა მეტო[ქე] სთქვა ეს არის ეს სოფელი ჩ[ემს] ლუკმა ყოფილაო და პირველ[ად] პარკის მაზანდა გახადა 20—2[5] გირვანქა, მაგრამ ღმერთმა უ[...] ლოს აქარუმოვაჭრეს ბ. კვირი[...] რომელმაც მაზანდა ასწია გირ[ვან]ქა 35 კ.,-დის. მაგრამ რადგა[ნ] ქართველი კაცი ფულით და გ[ა]ვერაობით სომეხს ვერ გაუსწ[ორ]დება, ამისთვის ამ დიდებუ[ლ] სომეხმა, ჩაიგდო თუ არა მათ პარკი როგორც ჩვენ[...]

აგრეთვე ხონში, დასწია მაზანდ 25 კ.-დის, ასე რომ იმ ანდაზის არ იყოს, „მაინც არ იყო ძმარიო, შიგ გაერია წყალიო“ ის დაგვემართა ჩვენ, მაინც არ გვქონდა ბლომათ პარკი და ისეც იძულებული ვიყავით იაფად გაგვეყიდნა.

არ შემიძლიან აგრეთვე დავფარო ის სიყალბე, ის ბოროტება და უსინიდისობა, რომელსაც იდენდა ამ დიდებული სომხის „პრიკასჩიკი წონის დროს, პარკს წონიდა ინგლისური სასწორით და აბა უბრალო გლეხს რა გაეგება ინგრისული სასწორისა. არ ყოფილა ისეთი გამყიდველი პარკისა, რომლისათვის უკანასკნელი არ მოეპაროთ 5—10-გირვანქამდის. მხოლოდ ეს ყოფნის მას მოგებად სხვა მომეტებულ ფასშიაც რომ არ გაყიდოს. თუმცალა საზოგადო სასწორი იქმნა დადგმული, მაგრამ ამ სასწორთან არ მიდიოდნენ, რადგან წონისათვის ახდევინებდნენ ფულს.

რა საშუალება უნდა იხმაროს საზოგადოებამ, რომ აბრეშუმის მოსავალი იყოს რიგიანი და პარკსაც კარგი ბაზარი ჰქონდეს? ადგილობრივ საზოგადოება უნდა ეცადოს, რომ შეადგინოს ამხანაგობა, თითონვე გამოიწეროს ვარგისიანი და საიმედო თესლი და დაურიგოს ხალხს. ამხანაგობამ უნდა შეიძინოს საკუთარი პარკის შესანახი შენობა და ყაჰრს დასახრჩობი, თითონვე უნდა არჩოს და მშრალი პარკი გზავნოს პირდაპირ ფაბრიკებში. აი ამ სახით შეიძლება მხოლოდ ჩვენში აბრეშუმის მოსავალი იქნეს რიგიანი და კარგი მოგებაც დაუტოვოს საზოგადოებას. ეხლა თუმცალა ბევრს აქვს ჩანერგილი ეს კეთილი ჰაზრი, მაგრამ სასურველია ჰაზრი განხორციელდეს და ჩვენი ოფლით არ გამდიდრდნენ სხვა გარეშენი, თათარი და სომეხი. აგრეთვე რიგიანი იქნება თესლის ყიდვის ნება არ მიეცეს ყველას, როგორც მაგალითად ჩვენში ბ. კიტუანს, რომლის გაყიდულ თესლიდან ერთი მეოთხედი არ ყოფილა ვარგისიანი და თუ მიეცემა, მაშინ ეს თესლი იქმნეს შემოწმებული. გაისათ იმედია ხალხიც სხვა-ნაირად მიეგებება ამ აბრეშუმის საქმეს და მთავრობაც სხვა ღონეს იხენს.

— ფოშტის შესახებ. ღ. ნოღალევის მოვაჭრემ და მცხოვრებლებმა თხოვნა მიართვეს კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის მართველობას, რომ მარტვილში დააარსონ ფოსტა. მთავრობამ ეს თხოვნა შეიწყნარა და საზოგადოებიდან მოითხოვა კანონით დაწესებული შესატანი ფული. იმედია ყ-დ სამღვდელო ალექსანდრე, რომლის საწინამძღვრო მონასტერი არის მარტვილში, თვისს უხვს დახმარებას არ მოაკლებს განსახორციელებლად ასეთი კეთილი საქმისა. როგორც კერძოთ გავიგე პრინცესა მიურატისა სწირავს ამ საქმისათვის ყოველ წლივ (სამი წლის ვადით) ას მანეთს, ღმერთმა ქნას ეს ხმაც გამართლდეს და ეს საქმეც ჩქარა სისრულით დაგვირგვინდეს.

 რ. კ.

## სამეურნეო ცნობა

### მცენარეთა მეტყველება (ბოტანიკა)

(შემდეგი *)

ქანებით მომრთალიანი ურემონტანტო ვარდები ათი. **Маховыя не ремотантныя розы.**

| №. | ვარდების სახელები. | წელიწადი მოშენ. | ვინ მოაშენა პირველად | სამშობლო |
|---|---|---|---|---|
| 1 | ცენტიფოლ მუსკოზა ამის შინარსი არავინ იცის . . | 1827 | ვიბერ . . . | შვეც. |
| 2 | კრისტატა. . | 1873 | ევგ. ვერდიე . | საფრ. |
| 3 | ეჟენ ვერდიე . | 1857 | მორო . . . | — |
| 4 | რენ ბლანშ . | 1880 | ვ'პაულ. . . | ინგლ. |
| 5 | ლიტლ გემ . | | | |
| 6 | ცენტიფოლ ალბა ამის შინაარსი არავინ იცის . . . | 1852 | ლაფეე . . | საფრ. |
| 7 | გლოარ დე მონზებ . . | | | |
| 8 | არტიურ იუნგ | | პორტიმერ . | |
| 9 | იუნიკ დე პროვანს . . | | | |
| 10 | ვიოლასე. . . | 1876 | სუპერტ - ნოტინგ ლიუქსენბურგ . . | |

ქანებით მომრთალიანი რემონტანტური ვარდები ხუთი. **Маховыя ремонтантыя розы.**

| №. | ვარდების სახელები. | წელიწადი მოშენ. | ვინ მოაშენა პირველად | სამშობლო |
|---|---|---|---|---|
| 1 | სუპერტი'ი ნოტინგ. . . | 1875 | პერნე . . . | საფრ. |
| 2 | ბლანშ მორო. | 1880 | მორო . . . | — |
| 3 | ევგენია გიმოასო. . . . | 1884 | გამოასო . . | — |
| 4 | სალე . . . | 1854 | ლაშარმ . . | — |
| 5 | დონ დე პოლ ფონტენ . . | 1873 | ფონტენ . . | — |

**ჭრელი (ПОЛОСАТЫХЪ) ვარდებისა ხუთი.**

| №. | ვარდების სახელები. | წელიწადი მოშენ. | ვინ მოაშენა პირველად | სამშობლო |
|---|---|---|---|---|
| 1 | ბელ დე ჯარდენ . . . . | 1873 | გილიო-სინ . | საფრ. |
| 2 | პერლ დე პანაშე. . . . | 1845 | გიბერტ . . | — |
| 3 | ტრიკოლორ დე ფლანდრ . | 1846 | ლ'ვან გუტ . | — |
| 4 | პანაშე დ'ორლეან . . . | 1854 | ლუი დოვეს . | — |
| 5 | პანაშე დე ლიუქსენბერგ. | 1866 | სუპერტ - ნოტინგ ლიუქსენბურგ . . | |

მაღლა ასაშვები ვარდები (**ВЬЮЩІЯСЯ РОЗЫ**) ათი.

| №. | ვარდების სახელები. | წელიწადი მოშენ. | ვინ მოაშენა პირველად | სამშობლო |
|---|---|---|---|---|
| 1 | ბოტე დე პრიორი . . | 185; | ბურჯ . . . | საფრ. |
| 2 | ბელ დე ბალტიმორ . . | 1843 | ფისტ . . . | ამერ. |
| 3 | ფელისიტე პერპეტიუე . | 1827 | ჟაკ დე ნეილი. | საფრ. |
| 4 | დიუკ დე კონსტანტინ . . | 18 8 | სუპერტ ნოტინგ ლიუქსენ ბურგ . . | — |
| 5 | ალბა . . . | -- | — | — |
| 6 | ტორესბიანა . | — | — | — |
| 7 | დე ლა გრიფერე. . . | 1848 | ვიბერ . . . | საფრ. |
| 8 | არველზის რუტა . . . . | — | — | — |
| 9 | მუტაბილის . | — | — | — |
| 10 | პოლიანტა . | 1882 | სიბოლტ . . | იაპ. |

არჩილ დარეჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 834.

## დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

5 ივნისი

**პარიზი.** გაზეთები სწუხან იმის გამო, რომ პუანკარემ სამინისტრო ვერ შეადგინა. უმრავლესობა გაზეთებისა უპირველესს ყოვლისა დელკასსესა და ვალდეკ-რუსსოს ასახელებენ და ამბობენ, რომ პრეზიდენტი იმათ მიანდობს სამინისტროს შედგენასაო. ჰფიქრობენ, რომ დელკასსე უარს განაცხადებს ზოგიერთი გაზეთი კონსტანსა და დეშანელს ასახელებს.

„Echo de Paris“-ი ამბობს, რომ დრეიფუსის საქმის განხილვა სამხედრო სასამართლოში 5 (17) ივლისს დაიწყობაო.

**პარიზი**. „ჰავასის სააგენტო“ შემდეგს იუწყება: „ზოგიერთი გაზეთები დღესაც განაგრძობენ ლაპარაკს კაზმირ-პერიეს შესახებ და ამბობენ, რომ ისიც იყო ჩარეული დრეიფუსის საქმეშიო. იუწყებიან დიპლომატიურ ინციდენტების შესახებ, რომლებშიაც ვითომ მასაც მიეღოს მონაწილეობა; აწერენ კაზიმირ-პერიეს სიტყვებს, რომლებიც იმას არ წარმოუთქვამს და სხვა. თუმცა გასაკვირველია, მაგრამ ნამდვილი კია, რომ კაზიმირ-პერიემ, პრეზიდენტად ყოფნის დროს, დრეიფუსის საქმისა უწყოდა მხოლოდ ის, რაც საკასაციო პალატის წინაშე ფიცით აღიარა. რაც შეეხება იმ ხმებს, რომელსაც გაზეთები ავრცელებენ, ამის გამო პერიე ილაპარაკებს რენში სამხედრო სასამართლოს წინაშე.

**პარიზი.** მთელი დღე ლუბემ თათბირში გაატარა. დღეს საღამოთი ან ხვალ დილით პრეზიდენტი მიიწვევს იმ საპოლიტიკო მოღვაწეს, რომელსაც ჰსურს ახალის კაბინეტის შედგენა მიანდოს.

**პარიზი** 17 ივნისს, საღამოს 9 საათზედ, ვალდეკ-რუსსო პრეზიდენტ ლუბესთან იყო. ვალდეკ-რუსსო მთელი კვირა პარიზში არა ყოფილა, ამიტომ პრეზიდენტს სთხოვა ხვალამდე დრო მომეცით მოსაფიქრებლადაო.

**ბელგრადი**. როგორც მთავრობის მიერ მიღებულ ცნობებიდგანა სჩანს, საზღვრებზედ არეულობა, რომელიც 2 ივნისს მოსპობილად იყო ჩათვლილი, 3 ივნისს განახლდა. ოსმალეთის ჯარი და ალბანელთა ბრბონი რამდენსამე ადგილს გადავიდნენ საზღვარს, გაძარცვეს და ცეცხლი წაუკიდეს სერბიელთა სადარაჯოს პროპახტიცისთან, შემდეგ სხვა ადგილებსაც დაეცნენ. ამ ჟამად, როგორც ამბობენ, ნამდვილი ბრძოლაა ბრაინისა და გუბასთან, სადარაჯოების მახლობლად.

**სტამბოლი.** როგორც „კონსტ სააგენტო“ იუწყება, ოსმალეთი მთავრობამ განაცხადა, რომ არეულობა სერბიის საზღვარზედ ოსმალებს არ გამოუწვევიათო. მიზეზი არეულობისა ის იყო, რომ სერბიის ჯარის-კაცებმა თოფები დაუშინეს ოსმალეთის იმ ჯარის-კაცებს, რომელნიც პროხნიკის ბლოკგაუზიდგან სხვა მახლობელ ბლოკგაუზში წავიდნენ წყლის გამოსატანადაო. როდესაც ჟანდარმები მივიდნენ მოკლულთა ცნობების მოსაკრებად, სერბიელნი თავს დაესხნენო. ამ ჟამად საზღვარზედ სრული მშვიდობიანობაა.

**სტამბოლი.** სერბიის საზღვარზედ იაბლოსიცის მახლობლად წესიერება აღდგენილ იქმნა. სულთანმა ბრძანება გასცა დასაჯონ ის ოსმალნი, რომელნიც დამნაშავენი აღმოჩნდებიან.

**იოჰანესბურგი.** პარდევროალში მოქალაქეთ, რიცხვით 4000 კაცს, ყრილობა ჰქონდათ. ყველა ორატორმა კრიუგერის წინადადების სასარგებლოდ ილაპარაკა. ბალკ ბურგოფმა სთქვა, რომ თუ ომი იქმნა გამოცხადებული, იგი დიდად საზარალო იქმნება სამხრეთ აფრიკისათვისაო. ყრილობამ მოიწონა პრეზიდენტის წინადადებანი და ერთხმად ის აზრი განაცხადა, რომ იმისმეტი, რაც დაეთმო ინგლისს, აღარაფერი უნდა დაეთმოსო.

7 ივნისი

**პარიზი.** უმრავლესობა გაზეთებისა მოწადინებულია ვალდეკ-რუსსომ შეადგინოს სამინისტრო. სოციალისტები დაჰპირდნენ, მხარს დაგიჭერთო, ანტი რევიზიონისტები პირ-იქით ამბობენ, რომ ვალდეკ-რუსსო მშვიდობიანობას ვერ დაამყარებსო. ასახელებენ დელკასსესა და მილიერანს. ზოგიერთი გაზეთი კაზიმირ პეირესაც იხსენიებს.

**პარიზი.** ლუბემ მიიღო კაზიმირ-პერიე. იმასთან და მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტთან ლუბეს თათბირი ჰქონდა უწინდელ საქმეთა მდგომარეობის შესახებ.

**პარიზი**. ამბობენ, ვალდეკ-რუსსოს უნდა, რომ ახალ კაბინეტში კაზიმიო-პერიემაც მიიღოს მონაწილეობა, სახელდობრ სამხედრო მინისტრის თანამდებობა იკისროსო.

**პარიზი**. ლუბე დიდხანს ესაუბრა კაზმირ-პერიეს. ლუბეს უნდა, რომ პერიემაც მიიღოს მონაწილეობა ახალს კაბინეთში, რათა თავისის სახელით მშვიდობიანობა დაიცვას სამხედრო წრეებში. პერიე დაჰპირდა მოვიფიქრებო, მაგრამ საღამოთი უარ-ჰყო პრეზიდენტის წინადადება.

**პარიზი.** ამბობენ, რომ თუ ვალდეკ-რუსსოს კაბინეტის შედგენაზე უარი განაცხადა, ლუბე ხელ-ახლა პუანკარეს მიჰმართავსო.

**ლონდონი.** გონკონგიდან დეპეშით იუწყებიან, რომ კიენნიგფუში მოკლ.ლ იქმნენ მისსიონერი ფილიპპო, იმისი ცოლი, ერთი სხვა ქალი და შვიდი ჩინელი ქრისტიანი.

7 ივნისი

**პარიზი.** პალატა და სენატი, წმინდა ფორმალურ კრების შემდეგ, დაიშალა: პირველი ოთხშაბათამდე, მეორე ხუთშაბათამდე.

**კონსტანტინეპოლი.** ხონთქარმა ინახულა რუსეთის ელჩი ზინოვიევი.

**პარიზი.** ვალდეკ რუსსო ლუბესთან იყო დილით და აცნობა, თუ რა მოლაპარაკება აქვს სხვებთან და იმედი გამოსთქვა საქმის კარგად დამთავრების შესახებ.


# განცხადებანი

## ვ. გუნიას სტამბა

ბეჭდავს ყოველ გვარ სასტამბო საქმეს, სადარბაზო ბარათებს და სხვა.

ფასი ყველასათვის ხელ-მისაწდომია.

# РОССІЯ

## ГАЗЕТА ПОЛИТИЧЕСКАЯ и ЛИТЕРАТУРНАЯ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА на ГАЗЕТУ „РОССІЯ“

| | съ пересылкою въ россія р. | к. | за границ. р. | к. | | съ пересылкою въ россія р. | к. | за границ. р. | к. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| На годъ . . . | 12 | — | 24 | — | На 6 мѣсяц. . . | 6 | 60 | 13 | 20 |
| » 11 мѣсяц. . | 11 | 10 | 22 | 20 | » 5 » . . | 5 | 70 | 11 | 40 |
| » 10 » . . | 10 | 20 | 20 | 40 | » 4 » . . | 4 | 80 | 9 | 60 |
| » 9 » . . | 9 | 30 | 18 | 60 | » 3 » . . | 3 | 90 | 7 | 80 |
| » 8 » . . | 8 | 40 | 16 | 80 | » 2 » . . | 3 | — | 6 | — |
| » 7 » . . | 7 | 50 | 15 | — | » 1 » . . | 1 | 60 | 3 | 20 |

### ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ:

Въ С.-Петербургѣ, въ главной конторѣ газеты «Россія (Невскій № 86).

Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ: для служащихъ —по третямъ чрезъ ихъ казначеевъ; неслужашіе же могутъ обращаться съ своими заявленями въ С.-Петербургѣ (Невскій № 86).

За перемѣну адреѣсса уплаиивается 40 коп. Отделрные нумера газеты «Россія» продается по 6 коп.

### ПРІЕМЪ И ПЕЧАТАНІЕ ОБЪЯВЛЕНІИ:

Плата за объявленіе: впереди текста за каждую строку петита по 50 коп позади текста по 25 коп. Контора газеты открыта ежедневно съ 10 ч. до 6 часовъ по полудни: редакція газеты открыта съ 1 часу пополудни до 10 часовъ вечера. Редакторъ принимаетъ для личныхъ объясненій ежедневно отъ 2 до 5 часовъ пополудни.

Доставляемыя въ редакцію статьи должны бытъ за подписью и съ адресомъ, автора, безъ чего онѣ печмтаемы не будутъ. Статьи, доставляемыя безъ обозначенія условій, оплачиваются по усмотрѣнію редакціи. Рукописи не возвращаются.

### ЗАВѢДУЮТЪ ОТДѢЛАМИ:

1) Финансовымъ, экономическимъ, земскимъ и крестьянскимъ: Г. П. Сазоновъ,
2) Литературнымъ и политическимъ: А В. Амфитеатровъ.
3 Научнымъ: профессоръ П. И. Ковалевскій, dr. И. Л. Янушкевичъ.
4) Внутреннихъ вопросовъ: М. П. Петровъ.
5) Иностранньимъ: Л. Ю. Гольштейнъ.
6) Музыкальнымъ: профессоръ Н. Ѳ. Соловьевъ и Я. А Рубинштейнъ.
7) Художественнымъ: И. Ф. Порфировъ.
8) Хроники: А. Н. Чермный.
9) Провинціальной хроники: М. В. Головинскій.
10) Театральной хроники: Ю. Д. Бѣляевъ.
11) Московскимъ: В А. Гиляровскій.

Общественный фельетонъ—по воскресеньямъ—Old Gentleman.

Провинціальный фельетонъ—по субботамъ—В. М. Дорошевичъ.

По средамъ печатается «Миллюнеръ» повѣсть В Г. Авсѣенко.

Постоянный корреспондентъ въ Парижѣ: А. П. Плетневъ.

Корреспондентъ въ специальной командировкѣ по недороднымъ мѣстностямъ: Сергѣй Печоринъ (С. А. Сафоновъ)

Постоянные собственные корреспонденты въ Вѣнѣ, Львовѣ, Варшавѣ, Софіи, Константинополѣ, Одессѣ и т. п.

(8—7)

# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи двойгой итальянской** по разнымъ отраслямъ торговой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

преподаетъ **И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ, препод. тифлисскихъ учеб заведеніи.**

## Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный,** при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2 часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣс

**За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго началь**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счет 2) монетныя вычисленія, 3)товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товаришества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (52 ачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ автора: Михайловская ул., № 71.**

(100—31

## ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 ГОДЪ НА ЛИТЕРАТУРНЫЙ И НАУЧНО-ПОПУЛЯРНЫЙ ЖУРНАЛЪ для самообразованія

VIII-й г. изд.

# МІРЪ БОЖІЙ

VIII-й г. изд.

*Выходитъ 1-го числа каждаго мѣсяца въ размѣрѣ не менѣе 25 печ. листовъ.*

1899 году журналъ будетъ издаваться по той же программѣ и томъ же составѣ редакціи и сотрудниковъ, причемъ для напечатанія предполагается, между прочимъ, слѣдующее:

БЕЛЛЕТРИСТИКА ОРИГИНАЛЬНАЯ: «Освободилась», романъ А. В...ицкой; «Рицтау», повѣсть В. Сѣрошевскаго; «Отъ Волги до Портъ-Артура» (путевые очерки), Н. Гарина; «Душная ночь» (Изъ степныхъ очерковъ), разск. Ю. Безродной; «Каинъ и Артемъ» (Изъ жизни босяковъ), разск. М. Горькаго; «Въ ночной смѣнѣ», разсказъ изъ военнаго быта А. Куприна;; разск. г.г. Бунина, Патапенко, Станюковича, Чирикова

**Научныя статьи и сочиненія.** «Антропологическіе очерки» проф. Брандта: «Современное положеніе вопроса о гипнотизмѣ», .В Битнера; «Чарльзъ Парнель», Ев Тарле; «Очерки по исторіи русской культуры», ч. III. П. Милюкоа. «Александръ I и его время», А. Прѣсякова: «А. С. Пушкинъ (юбилейнав статья) Ив. Иванова; «В. Г. Короленко», Ив. Иванова; «Ада Негри», В.я Фритче: «Очерки по соціальной экономіи», прив.-доц. Туганъ-Барановскаго; Послѣдствія переворота въ земледѣліи», Л. Крживицкаго; «Положеніе труда въ Аангліи», Л. Давыдовой; «Рихардъ Авенаріусъ эмпиріокритицизмъ», проф. Г. Челпанова; «Экспериментальная психологія, настоящее и будущее, д-ра философіи В. Анри.

ПЕРЕВОДНЫЯ СОЧИНЕНІЯ, «Очерки по исторіи соціальной философіи», Людвика Штейна, пер. съ нѣмецкаго; «Религія красоты» (джонъ Рёскинъ и его идеи), Сизерана; «XIX вѣкъ въ различныхъ областяхъ науки, техники и общественной жизни», компилятивныя статьи; «Изъ исторіи тайныхъ обществъ у различныхъ народовъ».

Постоянные отдѣлы. Критическія замѣтки Изъ западной литературы. На родинѣ. За границей. Научный обзоръ. Текущія научныя новости. Библіографія. Новости иностранной литературы.

### УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Съ доставкой и пересылкой во всѣ гороса Россіи на годъ 8 руб о
Безъ доставки на годъ . . . . . . 7 »
За границу на годъ . . , . . . 10 »

Вмѣсто разсрочки допускается подписка:

**По полугодіямъ;**

Съ доставкой и пересылкой во всѣ города Россіи на полгода 4 р.
За границу . . . 5 р.
Безъ доставки по соглашенію конторой

**по третямъ года:**

Съ доставкой и пересылкой в города Россіи;
въ январѣ . , . 3
» маѣ . . . . 3
» сентябрѣ . . . 2
За границу: въ январѣ
» » » маѣ . . 3
» » » сентябрѣ . 3

Адресъ: С.-Петербургъ, Лиговка, 26.

Подписавшіеся на полгода или на треть года продолжаютъ подписку повышенія подписной цѣны.

Уступки съ подписной цѣны никому не дѣлается.

Издательница *А. Давыдова.* Редакторъ *В. П. Острогорскій*